საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება
№169

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი 28 თებერვალი 2018 წ.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის დებულება წარმოდგენილი სახით.
/დებულება თან ერთვის/

3. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: პროფ. სულხან კუპრაშვილი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის აპარატის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) რექტორის აპარატის დებულება (შემდგომში - „დებულება“) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების (შემდგომში – „უნივერსიტეტის წესდება“), სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

1.2 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორის აპარატის (შემდგომში - „აპარატი“) სტატუსს, ფუნქციებსა და ამოცანებს, კომპეტენციას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, ანგარიშვალებულებას, აპარატის სტრუქტურას, მართვის სისტემას და აწესრიგებს აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

1.3 დებულებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამტკიცებს უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობითი ორგანო - უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

1.4 ამ დებულებით განსაზღვრული რექტორის აპარატის ფუნქციები და ამოცანები წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას.

მუხლი 2. აპარატის სტატუსი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

2.1 აპარატი არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონისა და უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე შექმნილი უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურა;

2.2 აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით და ამ დებულებით.

2.3 აპარატი პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე და ანგარიშვალდებულია უნივერსტიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

2.4 აპარატის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. აპარატის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1 აპარატის სტრუქტურას შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

3.2 აპარატის ზოგად ხელმძღვანელობას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს აპარატის უფროსი;

3.3 აპარატი მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობებს: აპარატი უფროსი, რექტორის აპარატის ოფისის მენეჯერი, რექტორის მრჩეველ-თანაშემწე იურიდიულ საკითხებში, სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების ხელმძღვანელი.

3.4 აპარატის შიდა პოზიციური სტრუქტურა თან ერთვის დებულებას;

3.5 აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

3.6 უნივერსიტეტის აპარატის უფროსის ხელმძღვანელის არჩევის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით;

3.7 აპარატის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 4. აპარატის მიზნები

4.1 აპარატის მიზანია რექტორის უფლება-მოვალეობათა სრულფასოვნად შესრულებაში ხელშეწყობა.

მუხლი 5. აპარატის ფუნქცია-მოვალეობები

5.1 უნივერსიტეტში სწავლა-სწავლებისა და კვლევით სფეროში საქმიანობათა გეგმარების, განხორციელებებისა და მონიტორინგის საკითხებში პროცესების ხელშეწყობა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომიუნიკაციის წარმართვა;

5.2 უნივერსიტეტის მართვასთან, სწავლა-სწავლებისა და კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცედურების შემუშავების საკითხებში პროცესის ხელშეწყობა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომიუნიკაციის წარმართვა;

5.3 უნივერსიტეტის მმართველობითი და ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაცია და მონიტორინგი;

5.4 რექტორატის საბჭოს სხდომებსა და შეხვედრებს კოორდინაცია და დოკუმენტირების უზრუნველყოფა;

5.5 რექტორის მმართველობითი გადაწყვეტილებების იურიდიულ მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

5.6 სტუდენტთა მხარდაჭერის, სტაჟირებისა და განვითარების სერვისების განხორციელების კოორდინაცია და კონტროლი;

5.7 რექტორის ორგანიზაციულ-ტექნიკური და საინფორმაციო მომსახურების გაწევა;

5.8 რექტორის ურთიერთობების კოორდინაცია და თანამშრომლობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან;

5.9 რექტორის მოქალაქეთა მიღების, კონსულტირების, წერილობით მომართვებზე რეაგირების კოორდინაცია.

5.10 უმაღლეს განათლების სფეროში სწავლა-სწავლებისა და მეცნიერების საკითხებზე მსოფლიოსა და საქართველოში არსებული პრქტიკისა შესწავლა და ანგარიშების მომზადება.

5.11 რექტორის დავალებით უნივერსიტეტის სახელით ოფიციალურად ინფორმაცის მომზადება და გავრცელება

5.12 და სხვა საკითხები, რომელიც განეკუთნება რექტორის უშუალო უფლება-მოვალეობებს;

მუხლი 6. აპარატის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

6.1 აპარატის ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, აპარატისა და მისი თანამშრომლების უფლებამოსილებათა ერთობლიობა წარმოადგენს აპარატის კომპეტენციას;

6.2 აპარატი მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისას, უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს და მიიღოს უნივერსიტეტის ნებისმიერი სტრუქტურული აპარატის ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაცია, ახსნა-განმარტებითი მასალები და სხვა დოკუმენტები;

ბ) შეიმუშავოს და რექტორს განსახილველად წარუდგინოს აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაჭრის წინადადებები;

გ) განახორციელოს რექტორის მიერ აპარატისათვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

6.3 აპარატი პასუხისმგებელია:

ა) ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობაზე.

მუხლი 7. აპარატის პერსონალი

7.1 აპარატის პერსონალის მიღების წესი განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესაბამისად.

7.2 აპარატის პერსონალის შრომითი ურთიერთობები განისაზღვრება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებით.

7.3 აპარატის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საქმიანობასთან დაკავშირებული ინსტრუქციები თან ახლავს დებულებას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

8.2 აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით.

რექტორის აპარატის პოზიციური სტრუქტურა